საუნივერსიტეტო სამუშაო კონფერენცია
“ენების სწავლება უნივერსიტეტში: პრობლემები და პერსპექტივები”

2007 წლის 20 დეკემბერს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ინიციატივითა და ორგანიზებით გაიმართა საუნივერსიტეტო სამუშაო კონფერენცია “ენების სწავლება უნივერსიტეტში: პრობლემები და პერსპექტივები”. კონფერენციას ესწრებოდნენ ექვსივე ფაკულტეტის ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის წარმომადგენლები, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილე, ბატონი შოთა მინდელი და ენების ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, ქალბატონი რუსუდან დოლიძე. თავდაპირველად მოსმენილ იქნა 10-15 წუთიანი მოხსენებები თითოეულ ფაკულტეტზე ენების სწავლების მდგომარეობის და არსებული პრობლემების შესახებ.

1. ჰუმანიტარული ფაკულტეტი. მომხსენებელი: ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოც. პროფ. ანასტასია ზაქარიაძე. დასკვნა: უცხო ენის სწავლება კვირაში სამი აკადემიური საათი არ არის საკმარისი; არ უნდა არსებობდეს ე. წ. 5 კაციანი “ბარიერი” იმ სამაგისტრო პროგრამებისთვის, რომელთა მიზანიც იშვიათი ენების სწავლება და გადარჩენაა (მაგალითად, კავკასიური, კლასიკური, ძველი აღმოსავლური ენები და სხვ.).

2. ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი. მომხსენებელი: ფაკულტეტის სასწავლო პროცესების მართვის სამსახურის უფროსი სპეციალისტი, ბატონი ვაჟა ცხოვრებაშვილი. დასკვნა: მაგისტრატურაში მისაღებმა გამოცდებმა აჩვენა შეუსაბამობა სწავლებასა და საგამოცდო მოთხოვნას შორის; არ უნდა მოვითხოვოთ იმაზე მეტი, ვიდრე ვასწავლით; უცხო ენის სწავლება კვირაში სამი აკადემიური საათი არ არის საკმარისი.

3. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი. მომხსენებელი: პროფესორი გიორგი გოგსაძე. დასკვნა: უცხო ენის სწავლება კვირაში სამი აკადემიური საათი არ არის საკმარისი; სასურველია უცხო ენების სწავლებას დაეთმოს მეტი სემესტრი; შესაძლებელია მაგისტრატურის სტუდენტებს შევთავაზოთ სპეცკურსები ინგლისურ ენებზე.

4. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი. მომხსენებელი: დეკანის მოადგილე, ასოც. პროფ. ლარისა ყორდანაშვილი. დასკვნა: მაგისტრატურაში ჩაბარების მსურველებს უნდა მივცეთ საშუალება, რომ გამოცდები ჩააბარონ ნებისმიერ უცხო ენაში და არა მხოლოდ ინგლისურში, გერმანულში ან ფრანგულში; სასურველია უცხო ენების მასწავლებლების ანაზღაურებაც გაიზარდოს.

5. მედიცინის ფაკულტეტი. მომხსენებელი: დეკანის მოადგილე, სრული პროფესორი დიმიტრი კორძაია. დასკვნა: სასურველია ანალოგიური სამუშაო კონფერენცია თუ შეხვედრა გაიმართოს ყველა ფაკულტეტზე ცალ-ცალკე, სადაც განიხილება ენების სწავლების პრობლემატიკა თითოეული ფაკულტეტის სპეციფიკიდან გამომდინარე; უნდა შეიქმნას ენების სწავლების საუნივერსიტეტო სტრატეგია; უცხო ენის ბარიერის გამო არ უნდა დავკარგოთ მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტები, არ უნდა დავუშვათ “წყვეტა”, რამაც შეიძლება გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს დარგების განვითარებას.

6. იურიდიული ფაკულტეტი. მომხსენებელი: ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოც. პროფ. გოჩა მამულაშვილი. დასკვნა: სხვადასხვა მიზეზების გამო V და VI სემესტრის სტუდენტებს შეუწყდათ უცხო ენის სწავლება და ეს აუცილებლად უნდა გამოსწორდეს.

გაიმართა დისკუსია, რომელშიც ყველა ფაკულტეტის წარმომადგენლებმა მიიღეს მონაწილეობა. ეკონომიკის ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ, ქალბატონმა ლარისა ყორდანაშვილმა ითხოვა მაგისტრატურაში მისაღები გამოცდებიდან უცხო ენის მოხსნა. აღინიშნა, რომ აუცილებელია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, სპეციალური აუდიტორიების მოწყობა, სადაც სტუდენტებს აუდიო-ვიდეო მასალის ნახვისა და მოსმენის საშუალება ექნებათ. თითოეულ ფაკულტეტზე არსებული სიტუაციის გაცნობის შემდეგ მომხსენებელთა გამოსვლებში წამოჭრილ კითხვებს უპასუხა ენების ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, ქალბატონმა რუსუდან დოლიძემ. სიტყვა ითხოვა ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილემ,

ბატონმა შოთა მინდელმა და მან კონფერენციის მონაწილეებს აღუთქვა მათი წინადადებების, მოსაზრებებისა და შენიშვნების გათვალისწინება.
კონფერენციის შედეგები შეაჯამა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ასოც. პროფ. ირინე დარჩიამ, რომელმაც აღნიშნა, რომ უცხო ენაში გამოცდა უნდა იყოს არა ხელოვნური ბარიერი, რომელსაც მაგისტრატურასა და დოქტორანტურაში ჩაბარების მსურველებს ვუქმნით, არამედ უნივერსიტეტში სწავლებისა და კვლევის ხარისხის ასამაღლებლად გადადგმული ერთ-ერთი ნაბიჯი. თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სწავლება და კვლევა წარმოუდგენელია უცხო ენების ცოდნის გარეშე, თუ სტუდენტებს ენების ცოდნას მოვთხოვთ, მაშინ მათ შევუქმნით დამატებით მოტივაციას, რომ მეტი დრო და ენერგია დაუთმონ უცხო ენების სწავლას, რაც საბოლოოდ მათ შრომის ბაზარზე უფრო კონკურენტუნარიან სპეციალისტებად ჩამოაყალიბებს. გარდა ამისა, ამჟამად საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ამზადებს კვალიფიკაციათა ეროვნულ ჩარჩოს, რომლის თანახმადაც უცხო ენის ცოდნა შესაბამის დონეზე (B 1, B 2, C 1) იქნება აუცილებელი ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტებისათვის. ვინაიდან ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა “დაასწრო” სამინისტროს ამ მოთხოვნას, უცხო ენაში გამოცდის მოხსნა იქნება უკან გადადგმული ნაბიჯი, რაც არ შეესაბამება საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში მიმდინარე რეფორმების სულისკვეთებას. აქედან გამომდინარე, თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ეწინააღმდეგება მაგისტრატურაში მისაღები გამოცდებიდან უცხო ენების მოხსნას. უბრალოდ, გაუმართლებელია უცხო ენების გამოცდის დაყვანა მხოლოდ სამ ენაზე. თითოეული დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, ჩასაბარებელი ენა / ენები უნდა განსაზღვროს სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელმა. ამგვარად, არ შეექმნებათ ხელოვნური ბარიერი იმ სტუდენტებს, რომლებიც კარგად ფლობენ არა ზემოთ აღნიშნულ სამ ენას, არამედ – იტალიურს, ესპანურს ან რუსულს და სხვ.
ირინე დარჩიამ აღნიშნა აგრეთვე, რომ მაგისტრატურასა და დოქტორანტურაში მისაღებ გამოცდაზე მხოლოდ სამი ენის ჩაბარება ბაკალავრიატის და მაგისტრატურის სტუდენტებს დაუკარგავს სხვა ენების სწავლის მოტივაციას და უახლოეს მომავალში შეგვიქმნის ხელოვნურ ბარიერს ევროპის ბევრ უნივერსიტეტთან თანამშრომლობისათვის. გასათვალისწინებელია ისიც, რომ საერთო ევროპული საგანმანათლებლო სივრცე, რომლის წევრობასაც ვესწრაფით, ენობრივ მრავალფეროვნებასაც გულისხმობს.

დასასრულს ირინე დარჩიამ შეაჯამა სამუშაო კონფერენციის შედეგები და დამსწრეთ გააცნო აკადემიური საბჭოს მიმართ წარსადგენი რეკომენდაციები. გადაწყდა, რომ შესწავლილ იქნება და დადგინდება ის თანხა, რომელიც ესაჭიროება უცხო ენის კვირეული დატვირთვის გაზრდას სამიდან ოთხ საათამდე, რასაც მოჰყვება კონსულტაციები უნივერსიტეტის ადმინისტრაციისთან ამ თანხის მოძიებასთან დაკავშირებით. 2008 წლის იანვარ-თებერვალში მოეწყობა ანალოგიური სამუშაო შეხვედრები თითოეულ ფაკულტეტზე უცხო ენების სწავლების მდგომარეობასთან დაკავშირებით.

აღნიშნული სამუშაო კონფერენციის საფუძველზე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა შემდეგი ორი რეკომენდაცია წარუდგინა აკადემიურ საბჭოს: 1. სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელმა განსაზღვროს და პროგრამაზე დაშვების წინაპირობაში მიუთითოს ის უცხო ენები, რომელთა ჩაბარების უფლებასაც აძლევს მომავალ მაგისტრანტებს; 2. მაგისტრატურაში შემსვლელთათვის გამარტივდეს უცხო ენის გამოცდის საკითხები. მოხდეს დიფერენციაცია ფაკულტეტებისა და სამაგისტრო პროგრამების მიხედვით.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური